ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 25 დეკემბრის №01-02/236 ბრძანების

დანართი №1

(*კოდიფიცირებულია* ცვლილებებით: N*01-02/07, 15.01.2026)*

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ბსუ-ს მუშაობის წესი

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია ,,პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №17/ნ ბრძანების (შემდეგში - **მინისტრის ბრძანება)** შესაბამისად და არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომ – მართვის სისტემა) სერვერზე განთავსებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში - პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდეგში - სისტემა ან/და რეესტრი) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ბსუ) პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის (შემდეგში - ბსუ-ს პროფესიული ცენტრის) მუშაობის პირობებს, განსაზღვრავს სისტემაში ინფორმაციის შეტანისათვის უფლებამოსილ და პასუხისმგებელ პირს, ინფორმაციის შეტანის, რეგისტრირებულ ინფორმაციაში ცვლილების განხორციელებისა და სისტემიდან ინფორმაციის ამოღების პროცედურებს.

2. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით, დადგენილ ვადაში და წესით აისახება ინფორმაცია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტების/ჩარიცხული პირების შესახებ, ასევე მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

3. მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მუშაობისათვის ბსუ-ს მხრიდან განსაზღვრული უფლებამოსილი პირია პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. სისტემაში ინფორმაციის ასახვის პროცესს მონიტორინგს უწევს ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი. *(ცვლილება - N01-02/07, 15.01.2026)*